

## ტიპობრივი საგამოცდო ტესტები - ფარმაკოლოგია 1

☒ რომელი სამკურნალო მცენარის ფესვების მიკროდიაგნოსტიკისათვის არის მნიშვნელოვანი შემდეგი ნიშნები: დრუხები, ლაფნის ბოჭკოები, ლორწოს შემცველი უჯრედები?

1. ძირტკბილას
2. ტუხტის
3. ბაბუაწვერას
4. კატაბალახას

☒ რომელი ცხიმოვანი მჟავები შედის მყარი ცხიმების შემადგენლობაში ?

1. სტეარინის
2. ლინოლის
3. ოლეინის
4. ლინოლენის

☒ ნტდ-ს მიხედვით რომელი მეთოდით საზღვრავენ ასკილის ნაყოფებში ასკორბინის მჟავას ?

1. ტიტრომეტული
2. ფოტოკოლორიმეტრული
3. სპექტროფოტომეტრული
4. გრავიმეტრული

☒ რომელი სადიაგნოზო ნიშნებია დამახასიათებელი ჭინჭრის ფოთლების ანატომიური შენებისათვის?

1. “მსუსხავი” \_ მარტივი მრავალუჯრედიანი ბუსუსები; “რეტორტისებრი” \_ მარტივი ერთუჯრედიანი ბუსუსები, ცისტოლითები
2. მარტივი მრავალუჯრედიანი ბუსუსები (T-ს მაგვარი), სეკრეტორული სავალები
3. სეკრეტორული სათავსოები ; უჯრედები კრისტალური ქვიშით
4. სქიზოლიზიგენური ტიპის სათავსოები

☒ რომელი ნივთიერებები განაპირობებენ კატაბალახას პრეპარატების სედაციურ მოქმედებას?

1. კარდენოლიდები
2. ბუფადიენოლიდები
3. ვალეპოტრიატები
4. დამარანდიოლები

☒ რომელი სამკურნალო ნედლეულისათვის არის დამახასიათებელი შემდეგი მორფოლოგიური ნიშნები: ფოთლები ნამგლისებური ფორმის, ტყავისებრი, შიშველი, მთელკიდიანი. ფერი მწვანე, ზოგჯერ მონაცრისფრო, სუნი არომატული, გემო-ცხარემწარე.

1. ევკალიპტის ფოთლები
2. სალბის ფოთლები
3. პიტნის ფოთლები
4. მრავალმარღვას ფოთლები

☒ რას წარმოადგენს ქიმიურად ცხიმები ?

1. გლიცერინისა და მაღალმოლეკულური ცხიმოვანი მჟავების რთულ ეთერებს
2. მაღალმოლეკულური ერთატომიანი სპირტების რთულ ეთერებს
3. მაღალმოლეკულურ ცხიმოვან მჟავებს
4. მაღალმოლეკულური ორატომიანი სპირტების რთულ ეთერებს

☒ რომელი ფუნქციონალური ჯგუფია და კავშირებული ფუტკარას ტიპის საგულე

გლიკოზიდების აგლიკონის C10 მდგომარეობაში?

1. ალდეჰიდის
2. სპირტული
3. მეთილის
4. კარბოქსილური

☒ რომელი შენაერთი უდევს საფუძვლად კარდიოსტეროიდების აგლიკონს?

1. პენტაციკლური ტრიტერპენი
2. მონოციკლური მონოტერპენი
3. ციკლოპენტანოპერჰიდროფენანტრენი
4. ტეტრაციკლური ტრიტერპენი

☒ რომელი რეაქციით აღმოაჩენენ კარდიოსტეროიდების მოლეკულაში დეზოქსიშაქრების შემცველობას?

1. ლეგალის
2. კელერ-კილიანის
3. კედდეს
4. ბალიეტის

☒ რომელი მცენარის ფოთლებისთვის არის დამახასიათებელი შემდეგი ანატომიური სადიაგნოსტიკო ნიშნები: ეპიდერმისის უჯრედები სიგრძივად გაწეული, მის ქვეშ მწოლიარე მესრისებული ქსოვილი, კალციუმის ოქსალატის ნემსისებური კრისტალები და რაფიდები?

1. დევსურა
2. ხარისძირა
3. შროშანა
4. ფუტკარა

☒ ჩამოთვლილთაგან, რომელი გენინებია დამახასიათებელი ფუტკარას სახეობებისათვის?

1. ჰელებრიგენინი
2. გიტალოქსიგენინი
3. პერიპლოგენინი
4. სტროფანტიდინი